

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ტოიოტა ცენტრი თბილისი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში	4
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება	8
ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	10
რისკის მართვა	21
პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	24
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	25
ბალანსის შემდგომი მოვლენები	25
მმართველობითი ანგარიშგება	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“-ს დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული კონსოლიდირებული სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი შენიშვნების გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სხვა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს 2,587,748 ლარის ღირებულების არა ბრუნვად მარაგებს, რომლის გაუფასურების ტესტირებაც არ ხორციელდება მენეჯმენტის მიერ და მათი გავლენა წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლოა იყოს არსებითი.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ კომპანიაში დანიშნულია საგადასახადო შემოწმება. შემოწმების პირველადი შედეგებით წარმოქმნილია საგადასახადო ვალდებულება, რომლის ჯამური ღირებულებაც შეადგენს 3,043,897 ლარს. მენეჯმენტს აღნიშნული საკითხი გასაჩივრებული აქვს ფინანსთა სამინისტროს დავების სამსახურში და მოელის, რომ პროცესი მის სასარგებლოდ დასრულდება, რიც გამოც წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გათვალისწინებული აღნიშნული ვალდებულებები.

ასევე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ ჯგუფის ზარალი გასულ საანგარიშო პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. აღნიშნულის მიზეზად კი მენეჯმენტი ასახელებს პანდემიას და მისგან დამდგარ შედეგებს, რომელიც უარყოფითად აისახა პერიოდის საკურსო სხვაობაზე და შემოსავლებზე. ასევე გავლენა იქონია სახელფასო ხარჯმა, რომელიც მნიშვნელოვნად არ შეცვლილა მიმდინარე პროცესების შესაბამისად. მიუხედავად იმისა რომ მენეჯმენტი არა ერთ ღონისძიებას მიმართავს კომპანიის წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად, როგორც ეს აღწერილია „ფუნქციონირებადი საწარმო“-ს ახსნა-განმარტებით შენიშვნაში, გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი რომ ჯგუფის ლიკვიდურობის რისკები პერიოდის ბოლოს მაღალია.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მიემართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

20 აგვისტო, 2021

თბილისი, საქართველო

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მიემართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ყურდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

20 აგვისტო, 2021

თბილისი, საქართველო




შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	3	17,913,913	18,907,117
არამატერიალური აქტივები		133,153	113,330
გაცემული სესხები	4	4,211,886	3,737,145
გუდვილი		21,475	18,253
სულ გრძელვადიან აქტივები		22,280,428	22,775,846
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	7,332,336	5,975,310
გადახდილი ავანსები	6	1,476,683	2,626,590
სავაჭრო მოთხოვნები	6	533,636	1,161,518
გადახდილი გადასახადები		17,776	632
ფული და ფულის ექვივალენტები	7	1,517,705	1,141,182
სულ მიმდინარე აქტივები		10,878,136	10,905,232
სულ აქტივები		33,158,563	33,681,077
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		306,815	306,815
გაუნაწილებელი მოგება		(33,316,706)	(39,505,958)
სულ კაპიტალი		(33,009,891)	(39,199,143)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	28,829,148	33,095,451
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		28,829,148	33,095,451
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	1,750,099	2,437,867
მიღებული ავანსები	9	33,967,772	33,955,867
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		1,116,999	-
გადასახდელი პროცენტები		173,596	2,793,815
გადასახდელი გადასახადები		330,842	597,219
სულ მიმდინარე ვალდებულებები		37,339,307	39,784,768
სულ ვალდებულებები		66,168,455	72,880,219
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		33,158,563	33,681,076

დირექტორი

20 აგვისტო 2021

თბილისი, საქართველო

შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	3	17,913,913	18,907,117
არამატერიალური აქტივები		133,153	113,330
გაცემული სესხები	4	4,211,886	3,737,145
გუდვილი		21,475	18,253
სულ გრძელვადიან აქტივები		22,280,428	22,775,846
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	7,332,336	5,975,310
გადახდილი ავანსები	6	1,476,683	2,626,590
სავაჭრო მოთხოვნები	6	533,636	1,161,518
გადახდილი გადასახადები		17,776	632
ფული და ფულის ექვივალენტები	7	1,517,705	1,141,182
სულ მიმდინარე აქტივები		10,878,136	10,905,232
სულ აქტივები		33,158,563	33,681,077
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		306,815	306,815
გაუნაწილებელი მოგება		(33,316,706)	(39,505,958)
სულ კაპიტალი		(33,009,891)	(39,199,143)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	28,829,148	33,095,451
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		28,829,148	33,095,451
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	1,750,099	2,437,867
მიღებული ავანსები	9	33,967,772	33,955,867
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		1,116,999	-
გადასახდელი პროცენტები		173,596	2,793,815
გადასახდელი გადასახადები		330,842	597,219
სულ მიმდინარე ვალდებულებები		37,339,307	39,784,768
სულ ვალდებულებები		66,168,455	72,880,219
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		33,158,563	33,681,076

დირექტორი

20 აგვისტო 2021

თბილისი, საქართველო

შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	126,068,815	90,993,255
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(114,367,474)	(81,238,189)
მთლიანი მოგება		11,701,341	9,755,066
ადმინისტრაციული ხარჯი	12	(2,587,272)	(2,259,464)
მიწოდების ხარჯი		(1,512,732)	(1,140,930)
ხელფასის ხარჯი		(3,659,396)	(4,115,480)
ცვეთის ხარჯი		(1,059,675)	(1,051,782)
საოპერაციო მოგება		2,882,266	1,187,411
არასაოპერაციო შემოსავალი		959,635	1,555,058
არასაოპერაციო ზარალი		(2,625,840)	(2,031,572)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		13,814	36,146
საპროცენტო ხარჯი		(1,508,072)	(3,607,283)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		(1,590,622)	(3,329,012)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(4,751,085)	(7,376,663)
მოგება დაბერგვამდე		(1,868,819)	(6,189,252)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(1,868,819)	(6,189,252)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(1,868,819)	(6,189,252)

დირექტორი

20 აგვისტო 2021
თბილისი, საქართველო

შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	126,068,815	90,993,255
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(114,367,474)	(81,238,189)
მთლიანი მოგება		11,701,341	9,755,066
ადმინისტრაციული ხარჯი	12	(2,587,272)	(2,259,464)
მიწოდების ხარჯი		(1,512,732)	(1,140,930)
ხელფასის ხარჯი		(3,659,396)	(4,115,480)
ცვეთის ხარჯი		(1,059,675)	(1,051,782)
საოპერაციო მოგება		2,882,266	1,187,411
არასაოპერაციო შემოსავალი		959,635	1,555,058
არასაოპერაციო ზარალი		(2,625,840)	(2,031,572)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		13,814	36,146
საპროცენტო ხარჯი		(1,508,072)	(3,607,283)
მოგება-ზარალი საკუროს სხვაობიდან		(1,590,622)	(3,329,012)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(4,751,085)	(7,376,663)
მოგება დაზერგვამდე		(1,868,819)	(6,189,252)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(1,868,819)	(6,189,252)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(1,868,819)	(6,189,252)

დირექტორი



20 აგვისტო 2021
თბილისი, საქართველო

შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი
 კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	306,815	(31,447,886)	(31,141,073)
პერიოდის ზარალი		(1,868,819)	-
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-		-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	306,815	(33,316,704)	(33,009,889)
პერიოდის ზარალი		(6,189,252)	-
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-		-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	306,815	(39,505,956)	(39,199,141)

დირექტორი

20 აგვისტო 2021
 თბილისი, საქართველო

შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი
 კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	306,815	(31,447,886)	(31,141,073)
პერიოდის ზარალი საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	(1,868,819)	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	306,815	(33,316,704)	(33,009,889)
პერიოდის ზარალი საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	(6,189,252)	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	306,815	(39,505,956)	(39,199,141)

დირექტორი

20 აგვისტო 2021

თბილისი, საქართველო

შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი
ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31.12.2019	31.12.2020
წლის მოგება	(1,868,819)	(6,189,252)
კორექტირება:		
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	1,590,622	3,329,012
ცვეთის ხარჯი	1,059,675	1,051,782
ანარიცხების ამოტრიალება	668,406	1,217,498
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	1,449,884	(590,960)
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(152,402)	(612,892)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(1,253,539)	1,357,026
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(848,003)	(1,149,746)
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	283,233	283,522
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	1,324,339	602,440
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	(2,430,040)	(7,571)
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	27,798	2,620,219
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,598,728)	2,502,038
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გასვლა	861,996	461,491
ძირითადი საშუალებების მიღება	(1,667,352)	(2,483,433)
ცვლილებები არამატერიალ აქტივებში	(55,324)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(860,680)	(2,021,942)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავალი გრძელვადიანი სესხებიდან	(1,218,418)	939,610
მოკლევადიანი სესხების დაფარვა	904,128	(1,116,999)
ცვლილებები გაცემულ სესხებში	1,283,481	(771,612)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	969,191	(949,000)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	15,990	92,379
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(1,474,227)	(376,525)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	2,991,933	1,517,706
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	1,517,706	1,141,181

დირექტორი

20 აგვისტო 2021
თბილისი, საქართველო

შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი
ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31.12.2019	31.12.2020
წლის მოგება	(1,868,819)	(6,189,252)
კორექტირება:		
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	1,590,622	3,329,012
ცვთის ხარჯი	1,059,675	1,051,782
ანარიცხების ამოტრიალება	668,406	1,217,498
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	1,449,884	(590,960)
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(152,402)	(612,892)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(1,253,539)	1,357,026
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(848,003)	(1,149,746)
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	283,233	283,522
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	1,324,339	602,440
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	(2,430,040)	(7,571)
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	27,798	2,620,219
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,598,728)	2,502,038
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გასვლა	861,996	461,491
ძირითადი საშუალებების მიღება	(1,667,352)	(2,483,433)
ცვლილებები არამატერიალ აქტივებში	(55,324)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(860,680)	(2,021,942)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავალი გრძელვადიანი სესხებიდან	(1,218,418)	939,610
მოკლევადიანი სესხების დაფარვა	904,128	(1,116,999)
ცვლილებები გაცემულ სესხებში	1,283,481	(771,612)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	969,191	(949,000)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკუროს სხვაობის ეფექტი	15,990	92,379
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(1,474,227)	(376,525)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	2,991,933	1,517,706
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	1,517,706	1,141,181

დირექტორი

20 აგვისტო 2021

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ (შემდგომში ”ორგანიზაცია”) დაფუძნდა 1997 წლის 2 სექტემბერს, მარეგისტრირებული ორგანო არის თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-20 კმ. კომპანიის დამფუძნებელია ორი ფიზიკური პირი ირაკლი გურჩიანი 66.7% წილით და დავით ტაკიძე 33.3% წილით.

კომპანია არის ტოიოტას პირველი ოფიციალური დილერი საქართველოში, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ტოიოტას ბრენდის ავტომობილებს, მათ სათადარიგო ნაწილებს, აქსესუარებს და ტექნიკურ მომსახურებას.

კომპანია ფლობს წილებს შემდეგ კომპანიებში:

დასახელება	რეგისტრაციის ქვეყანა	კომპანიის ფლობილი წილი		საქმიანობა
		31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020	
შპს იოკოჰამა ჯორჯია	საქართველო	100%	100%	ვაჭრობა
შპს ჯეო ექსი	საქართველო	100%	100%	არ ფუნქციონირებს
შპს იამაჰა ტურ	საქართველო	100%	100%	არ ფუნქციონირებს
შპს თბილისის ავტო კომპანია	საქართველო	70%	70%	არ ფუნქციონირებს

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შვილობილი საწარმოებიდან ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს შპს იოკოჰამა ჯორჯია. შპს ჯეო ექს-მა ბაზარზე ოპერირება შეწყვიტა 2018 წლის დასაწყისში და ანგარიშგებაში ასახულია მხოლოდ გასული პერიოდის ვალდებულებები და შესაბამისი აქტივები.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ჯგუფის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს (“ბასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს ჯგუფის ოპერაციებზე. როგორც ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაშია განხილული ხელმძღვანელობამ მიმოიხილა კორონა ვირუსის - COVID 19 -ის გავლენა ჯგუფის ფუნქციონირებაზე და შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. ამ გეგმაზე დაყრდნობით, ჩვენ მოველით გარკვეული სახის უარყოფით გავლენას საკუთარ საქმიანობაზე, მაგრამ ეს არ შეუქმნის რისკს კომპანიის ფუნქციონირებას. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება საფუძვლიანია.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა ჯგუფის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ვალდებულებები აღემატება მის აქტივებს, ასევე გაუარესებულია ჯგუფის ფინანსური შედეგები, რომლის მიზეზიც არის კოვიდ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფინანსურ შედეგებზე. მიუხედავად ამისა დადებითი კომპანიის ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან. მენეჯმენტი მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად. მათ შორის სესხების რესტრუქტურზაციას, მოლაპარაკებებს მომწოდებლებთან კრედიტორული ვალდებულებების ვადიანობის კორექტირების მიზნით. ჯგუფმა 2020 წელს გააფორმა გრძელვადიანი კონტრაქტი მომსახურების მიწოდებაზე, რაც მენეჯმენტს დამატებით საშუალებას აძლევს რომ გააუმჯობესოს ფინანსური შედეგები და ორგანიზაციის ლიკვიდურობა. ჯგუფის ოპერაციები იგეგმება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მან შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირება და არსებითი რისკები არ შეექმნას მომდევნო საანგარიშო პერიოდებში.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში

ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2020
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8677	3.2766
ლარი/1 ევრო	3.2095	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

შვილობილი კომპანია არის პირი რომელზეც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი მიიღწევა, როდესაც ინვესტორი მონაწილეობს ან აქვს უფლებები ინვესტირების ობიექტში ჩართულობიდან მისაღებ უკუგებაზე და უნარი. გამოიყენოს ინვესტირების ობიექტზე ფლობილი ძალაუფლება უკუგებაზე ზემოქმედების მიზნით.

წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულებით, იმ შენატანით რაც განხორციელებულია შვილობილი საწარმოს კაპიტალში.

შვილობილი საწარმოდან მიღებული დივიდენდები მოგებაში ან ზარალში აღირიცხება, როდესაც დივიდენდის მიღების უფლება დადგენილია.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL).

კომპანია ფლობს ორი ტიპის ფინანსურ აქტივის, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი -სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათ ექვევალენტი. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის და სადეპოზიტო ფულადი სახსრებისათვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები და დეპოზიტზე განთავსებული ფულადი სახსრები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მონაცემებზე, შეფასებებსა და განსჯის მეთოდებზე რომელიც გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არა დაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდ წილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც ჯგუფმა გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ბალანსზე იდენტიფიცირებული უიმედო მოთხოვნები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული ნაწილი დარეზერვებულია გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ჯგუფის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფად ბრუნვად მარაგებს, მაგრამ ასევე იდენტიფიცირებულია არა ბრუნვადი სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომლებზეც არ ხორციელდება გაუფასურების ტესტირებას და შესაძლოა შეიცავდეს არსებით უზუსტობებს.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საანგარიშო პერიოდში კომპანიის მიერ გაყიდული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაწილი განთავსდებულია დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდისგან და მენეჯმენტი იყენებს ჩასათვლელი დღგ-ს გაანგარიშების პროპორციას საანგარიშო თვის შემოსავლების შესაბამისად.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით.

მოგების გადასახადი (გაგრძელება)

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება შემცირებად ნაშთის მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

- შენობა-ნაგებობები - 20 წელი
- მანქანა დანადგარები - 5-20 წელი
- ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი
- ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი
- ინსტრუმენტები და ხელსაწყოები - 5 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

პერიოდის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არამატერიალური აქტივები მოიცავს საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფებს.

აღირცხება თვითღირებულებით, საიდანაც გაქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

სესხები

ჯგუფის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში პანდემიის დროს ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, ქართუ ბანკთან მოხდა ჯგუფის სასესხო ვალდებულებების რესტრუქტურირაცია, რის გამოც საანგარიშო პერიოდის ბოლოს არ გააჩნია მიმდინარე და გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის გადახდის ვალდებულება.

საანგარიშო პერიოდში გაცემული სესხები მოიცავს ჯგუფის დაკავშირებულ მხარეზე, დამფუძნებელზე გაცემულ სესხებს და შესაბამის დარიცხულ პროცენტებს.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

გუდვილი

საწარმოთა გაერთიანებისას წარმოქმნილი გუდვილი წარმოადგენს კომპანიის მიერ შეძენილი აქტივებიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღებისათვის შესრულებულ გადახდას, რომელთა ცალ-ცალკე განსაზღვრა და აღიარება შეუძლებელია. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბალანსზე აღრიცხული გუდვილი არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით და მოიცავს ისტორიულ ღირებულებას და აკუმულირებულ ცვეთას.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსაღრიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტ საიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

ახალი ფას-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

2020ს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმის თავდაპირველი გამოყენების გავლენა ფასს 9-ში და ფასს 7-ში;
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა ფასს 16-ის შესწორებები; • საიჯარო გადასახადების ცვლილებების აღრიცხვაზე გავლენა, გათავისუფლების გამოყენებით;
- სხვა ახალი და შესწორებული ფასს სტანდარტების საწყისი გამოყენების გავლენა, რომლებიც ძალაშია მიმდინარე წლისთვის.

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებების მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე. მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გაცემული ფასს სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში ქვემოთ მოყვანილი ცვლილებები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. მათ მიღებას არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ინფორმაციის გამჟღავნებაზე ან ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე.

- ფასს-ის სტანდარტებში კონცეპტუალურ ჩარჩოში მითითებების შეტანა;
- ფასს 3-ში შესწორებები ბიზნესის განმარტებაში;
- ბასს 1-ში და ბასს 8-ში შესწორებები მასალების განმარტებაში;

ჯგუფს ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები2;
- ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორება)4;
- ფასს 3 საწარმოთა გაერთიანება (შესწორებები) - საწარმოს განმარტება1;
- ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7 (შესწორებები) - საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლის რეფორმა და მისი შედეგები ფინანსურ ანგარიშგებაზე1.
- ბასს 1 და ბასს 8 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორებები) - მასალის განმარტება1;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2010-2012 წწ. ციკლი - მიმდინარე და არამიმდინარე ვალდებულებების კლასიფიკაცია3;

1. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

2. ძალაშია 2022 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

3. ძალაშია 2023 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

4. სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავტო და ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ინსტრუმენტები და ხელსაწყოები	სხვა ძირითადი საშუალებები
საწყისი ღირებულება								
ბალანსი 31/12/2018	6,160,194	7,990,915	637,578	263,450	311,355	2,027,399	158,030	600,589
დანამატები	-	887,645	2,306	9,170	47,652	690,193	29,150	1,237
აქტივების ჩამოწერა	-	(181,309)	-	-	(508)	(1,988,958)	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	-	(409,316)	(88,384)	(51,982)	(58,419)	(333,593)	(34,501)	(64,696)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	10	1,308,706	-	-
ბალანსი 31/12/2019	6,160,194	8,287,934	551,500	220,638	300,090	1,703,747	152,679	537,131
დანამატები	-	1,326,019	38,675	40,346	301,752	655,079	5,580	115,983
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-	-	(751,031)	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	-	(425,726)	(74,318)	(47,005)	(82,638)	(309,666)	(30,904)	(58,480)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	289,540	-	-
ბალანსი 31/12/2020	6,160,194	9,188,227	515,856	213,979	519,204	1,587,668	127,355	594,633
ბალანსი 31/12/2019	6,160,194	8,287,934	551,500	220,638	300,090	1,703,747	152,679	537,131
ბალანსი 31/12/2020	6,160,194	9,188,227	515,856	213,979	519,204	1,587,668	127,355	594,633

- ჯგუფის ბალანსზე რიცხვული შენობა-ნაგებობები და სხვა ძირითადი საშუალებები დატვირთულია იპოთეკით კომპანიის სასესხო ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად.

შენიშვნა 4 - გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები

პერიოდის ბოლოს ჯგუფის მიერ გაცემული გრძელვადიანი სესხები მოიცავს დამფუძნებლებზე და დაკავშირებულ მხარეზე სესხად გაცემულ ფულად ნაკადებს და მათზე დარიცხულ მისაღებ პროცენტებს, რომელიც შემცირებულია გაუფასურების რეზერვით.

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31/12/2019	31/12/2020
გაცემული სესხები				
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	ლარი	20%	3,458,500	3,458,500
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	ლარი	20%	142,972	146,666
დარიცხული პროცენტები				
ფიზიკური პირებისგან მისაღები პროცენტები	ლარი		2,515,468	3,207,168
იურიდიული პირებისგან მისაღები პროცენტები	ლარი		156,068	232,285
ანარიცხები			(2,061,122)	(3,307,475)
სულ გაცემული სესხები და დარიცხული პროცენტები			4,211,887	3,737,145

შენიშვნა 5 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს ტოიოტას მარკის ავტომობილებს, საბურავებს, სათადარიგო ნაწილებს და აქსესუარებს:

	31/12/2019	31/12/2020
ავტომობილები	1,503,942	948,487
ავტომობილები გზაში	408,838	-
საბურავები	482,010	336,307
ზეთი და ხუნდები	119,010	66,033
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4,818,536	4,624,482
სულ ნედლეული და მასალები	7,332,336	5,975,309

შენიშვნა 6 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები მოიცავს საბალანსო ღირებულებას და მასთან დაკავშირებულ ანარიცხებს:

	31/12/2019	31/12/2020
სავაჭრო მოთხოვნები	576,476	1,460,833
გადახდილი ავანსები	2,020,447	2,885,024
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები	(586,604)	(557,749)
სულ მიმდინარე მოთხოვნები	2,010,320	3,788,108

ჯგუფი ასევე ახორციელებს მიმდინარე მოთხოვნების ვადიანობის ანალიზს და შესაბამისი თანხების დარეზერვებას აღნიშნული ვადაგადაცილებული დღეების შესაბამისად:

შენიშვნა 6 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

მოთხოვნები და გადახდილი ავანსები	სავაჭრო მოთხოვნების და გადახდილი ავანსების - ვადაგადაცილებული დღეები			
	ბრუტო საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება
მიმდინარე მოთხოვნები	3,064,941	1%	(30,649)	3,034,291
30-90 დღის ვადაგადაცილება	575,681.25	5%	(28,784)	546,897
91-180 დღის ვადაგადაცილება	123,961.29	10%	(12,396)	111,565
181-360 დღის ვადაგადაცილება	190,709.90	50%	(95,355)	95,355
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	390,564	100%	(390,564)	-
შემცირებული გაუფასურების რეზერვით			(557,749)	
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2020	4,345,858			3,788,109

შენიშვნა 7-ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს ჯგუფის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე

	31/12/2019	31/12/2020
ლარი საბანკო ანგარიშებზე	281,440	105,208
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	1,047,136	1,027,263
	1,328,576	1,132,471
ნაღდი ფული სალაროში	189,129	8,711
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	189,129	8,711
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	1,517,705	1,141,182

შენიშვნა 8 - გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები და მისი მიმდინარე ნაწილი

პერიოდის ბოლოს არსებული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები მოიცავს უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში აღრიცხულ სესხებს:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადაბრუნება	31/12/2019	31/12/2020
ქართუ ბანკი	ლარი	11%	12.01.2025	2,287,623	2,287,623
ქართუ ბანკი	ლარი	11%	12.01.2025	1,483,379	1,483,379
ქართუ ბანკი	ლარი	11%	12.01.2025	692,873	692,873
ქართუ ბანკი	ლარი	11%	12.01.2025	1,628,930	1,628,930
ქართუ ბანკი	ლარი	11%	12.01.2025	387,557	345,166
შპს მერკე	ლარი	20%	12.01.2025	54,417	-
დავით ტაკიძე	ლარი	20%	12.01.2025	80,580	-

შენიშვნა 8 - გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები და მისი მიმდინარე ნაწილი (გაგრძელება)

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადანობა	31/12/2019		31/12/2020	
				დოლარი	ექვივალენტი ლარი	დოლარი	ექვივალენტი ლარი
ქართუ ბანკი	დოლარი	7%	12.01.2025	5,612,807	16,095,847	5,612,807	18,390,924
ქართუ ბანკი	დოლარი	7%	12.01.2025	815,294	2,338,020	815,294	2,671,394
ქართუ ბანკი	დოლარი	7%	12.01.2025	93,996	269,554	93,996	307,989
ქართუ ბანკი	დოლარი	7%	12.01.2025	93,996	269,554	93,996	307,989
ქართუ ბანკი	დოლარი	7%	12.01.2025	93,996	269,554	93,996	307,989
ქართუ ბანკი	დოლარი	7%	12.01.2025	93,996	269,554	93,996	307,989
ქართუ ბანკი	დოლარი	7%	12.01.2025	93,996	269,554	93,996	307,989
ქართუ ბანკი	დოლარი	7%	12.01.2025	93,996	269,554	93,996	307,989
ქართუ ბანკი	დოლარი	7%	12.01.2025	93,996	269,554	93,996	307,989
ქართუ ბანკი	დოლარი	7%	12.01.2025	1,143,633	3,279,597	1,143,633	3,747,229
სულ გრძელვადიანი სესხები				14,228,515	29,811,149	8,135,710	33,095,451

შენიშვნა 9 - სავაჭრო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	31/12/2019	31/12/2020
სავაჭრო ვალდებულებები	1,640,899	2,231,968
გადასახდელი ხელფასები	109,200	77,181
მიღებული ავანსები	33,967,772	34,084,585
სულ სავაჭრო ვალდებულებები	35,717,871	36,393,734

შენიშვნა 10 - შემოსავალი რეალიზაციიდან

პერიოდის შემოსავალი მოიცავს ტოიოტას მარკის ავტომობილების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს, ავტონაწილების რეალიზაციიდან და მანქანების ტექ. მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს, რომელიც შემცირებულია პერიოდის ფასდათმობით:

	31/12/2019	31/12/2020
შემოსავალი მანქანების რეალიზაციიდან	112,057,470	75,162,128
შემოსავალი ტექ. მომსახურებიდან	10,182,976	10,240,677
შემოსავალი საბურავების რეალიზაციიდან	261,922	170,528
სხვა შემოსავლები	3,680,272	5,513,559
უკან დაბრუნება	(113,825)	(93,638)
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	126,068,815	90,993,255

შენიშვნა 11 - თვითღირებულების ხარჯი

	31/12/2019	31/12/2020
ავტომობილების ღირებულება	106,074,522	76,570,733
ტექ. მომსახურების ხარჯი	5,064,539	752,510
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	296,885	170,787
სხვა ხარჯი	1,404,055	2,279,054
პირდაპირი ხელფასი	1,527,473	1,465,105
სულ გაყიდული პროდუქციის და გაწეული მომსახურების თვითღირებულება	114,367,474	81,238,189

შენიშვნა 12 - ადმინისტრაციული ხარჯები

	31/12/2019	31/12/2020
მივლინების ხარჯი	92,062	3,662
რეკლამის ხარჯი	207,357	222,045
დაზღვევის ხარჯი	20,834	3,959
საგადასახადო ხარჯი	145,016	161,739
კომუნალური ხარჯი	349,518	325,711
აუდიტის ხარჯი	40,000	35,000
საიჯარო ხარჯი	308,658	11,066
იურიდიული მომსახურების ხარჯი	-	43,334
ავტომობილების რემონტის ხარჯი	-	118,243
საბანკო ხარჯი	80,486	56,240
საკონსულტაციო ხარჯი	21,004	-
ანარიცხები	570,784	568,692
მოგების გადასახადის ხარჯი	65,111	136,072
სხვა საოპერაციო ხარჯი	686,443	573,700
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	2,587,272	2,259,463

რისკის მართვა

ჯგუფის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ჯგუფის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. ჯგუფის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები რიგ შემთხვევებში არ არის შესაბამისი საკრედიტო რისკების მინიმალიზაციისათვის, რის გამოც წამოიქმნება უიმედო მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე ჯგუფმა დანაკარგების რეზერვის გამოსათვლელად გამოიყენა ფასს 9-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომა. ჯგუფი ამ ერთეულებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს რეზერვების მატრიცით, რომელიც მიიღება ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება მსესხებლების ვადაგადაცდილების სტატუსს და კორექტირებულია მსესხებელთა სპეციფიურ ფაქტორებზე, მსესხებლის დარგის ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღში პირობების მიმდინარე და საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით. შესაბამისად, ამ აქტივების საკრედიტო რისკის პროფილი წარმოდგენილია რეზერვების მატრიცით ვადაგადაცდილების სტატუსის საფუძველზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ჯგუფის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად. ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება ჯგუფის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტ	31 დეკემბერი 2020 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,260,286	33,955,867	-	-	-	36,216,153
ნასესხები სახსრები	-	-	-	-	33,095,451	33,095,451
გადასახდელი ხელფასები	177,581					177,581
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,437,867	33,955,867	-	-	33,095,451	69,489,184

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია პერიოდის ვალდებულებებზე, რომელიც არსებითად დიდია და ჯგუფის მიერ გამოძევაზე ფულადი სახსრებმა შესაძლოა ვერ უზრუნველყოს ყველა ვალდებულების დაფარვა შესაბამის ვადებში. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ლიკვიდურობის რისკები მაღალია.

კაპიტალის რისკი

ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს მოქმედი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავედროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს წმინდა სესხების ფარდობა კაპიტალთან მოცემულია უარყოფითი ნიშნულით, ვინაიდან გამოძევაზე მოგება ვერ უზრუნველყოფს სასესხო ვალდებულებების სრულად დაფარვას.

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2020
აღებული სესხები	28,829,148	33,095,451
ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთები	(1,517,705)	(1,141,182)
წმინდა სესხი	27,311,442	31,954,270
კაპიტალი	(33,316,706)	(39,505,958)
წმინდა სესხის ფარდობა კაპიტალთან	-82%	-81%

საპროცენტო რისკი

კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშვება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში ჯგუფი ფლობს უცხოურ ვალუტაში აღრიცხულ სასესხო ვალდებულებას და მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. 2020 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ ჯგუფში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკურსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის მარაგების არსებითი ნაწილი შეძენილია უცხოურ ვალუტაში და პერიოდის ბოლოს კომპანიის ვალდებულებების არსებითი ნაწილი მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ ვალდებულებებს.

სავალუტო სხვაობის დასაშვები ცვლილებები გათვალისწინებულია მოგების მარჟის გაანგარიშებაში, რაც ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

31 დეკემბერი 2020		
	GEL	USD 1 = 3.2677 GEL
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	105,220	1,027,263
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	3,737,145	-
სავაჭრო მოთხოვნები	1,161,518	-
გადახდილი ავანსები	186,732	673,002
სულ ფინანსური აქტივები	3,900,515	1,700,135
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,304,269	28,341
მიღებული ავანსები	17,646,245	2,538,588
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	6,437,971	33,095,451
სულ ფინანსური ვალდებულებები	26,388,485	35,662,380
სულ წმინდა პოზიცია	(22,487,970)	(33,962,246)

31 დეკემბერი 2019		
	GEL	USD 1 = 2.8677 GEL
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	339,620	1,046,955
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	4,002,559	-
სავაჭრო მოთხოვნები	981,063	-
გადახდილი ავანსები	1,853,169	167,278
სულ ფინანსური აქტივები	7,176,411	1,214,233
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,049,352	15,617
მიღებული ავანსები	18,522,896	1,712,071
გადასახდელი პროცენტები	24,669	95,923
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	6,480,361	23,330,787
სულ ფინანსური ვალდებულებები	27,077,278	25,154,398
სულ წმინდა პოზიცია	(19,900,867)	(23,940,165)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი ვალდებულებების არსებითი ნაწილი წარმოქმნილია უცხოურ ვალუტაში. ქვეყნის ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებები არსებით გავლენას ახდენს საანგარიშო პერიოდის ფინანსურ შედეგებზე, რის გამოც სავალუტო რისკები მაღალია. ჯგუფი ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ ტრანზაქციებს; შესაბამისად, მასზე მოქმედებს რისკი, რომელიც გაცვლითი კურსის მერყეობისას წარმოიქმნება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%	20%	-20%
მოგება/ზარალი				
გადასახადებამდე:	(6,792,449)	6,792,449	-	-

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%	20%	-20%
მოგება/ზარალი				
გადასახადებამდე:	(4,788,033)	4,788,033	-	-

პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ჯგუფის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას პერიოდის ბოლოს გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებიც არსებით გავლენას არ იქონიებს კომპანიის საქმიანობაზე. ისინი ძირითადად მოიცავს მოთხოვნების გადაუხდელობაზე წარმოქმნილ სასამართლო პროცესებს, რომლის ფინანსური შედეგიც უკვე ასახულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში და არ გამოიწვევს დამატებით დანახარჯებს.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მიმდინარე წელს კომპანიაში ჩატარდა საგადასახადო შემოწმება, რომლის საფუძველზეც წარმოშობილია ვალდებულება, რომელიც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნული გადაწყვეტილება არა სამართლიანია და გასაჩივრებულია ფინანსთა სამინისტროს დავების სამსახურში. ვინაიდან ჩვენ არ ვიზიარებთ შემოწმების შედეგად დამდგარ შედეგებს შესაბამისად არ მოველით რომ აღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულდება და ის არ გვაქვს ასახული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები მოიცავს მხოლოდ კომპანიის წამყვან მენეჯმენტზე ხელფასად გაცემულ ანაზღაურებას რომელიც შეადგენს 2,288,894 ლარს.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში ჯგუფის მშობელი საწარმოს შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“-ს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ირაკლი გურჩიანმა გაასხვისა საკუთრებაში არსებული კომპანიის წილიდან 12,5% თეონა ტაკიძეზე. ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიის დამფუძნებლებია ირაკლი გურჩიანი - 54,2%; დავით ტაკიძე 33,3% და თეონა ტაკიძე 12,5%.

ბალანსის შემდგომ პერიოდში ასევე განხორციელდა საკუთრებაში არსებული ქობულეთის სერვის ცენტრის რეალიზაცია. გაყიდულია როგორც მიწა და შენობა-ნაგებობა ასევე მასთან დაკავშირებული სხვა უძრავ-მოძრავი აქტივები.

ბალანსის შემდგომ პერიოდში მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, კვლავ მიმდინარეობს პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების გამკაცრება, რის გამოც რთულად განსაზღვრია ადგილი ექნება თუ არა ისეთი სახით გარემოებებს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე.

მმართველობითი ანგარიშგება

შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ (შემდგომ როგორც „ჯგუფი“) დაფუძნდა 1997 წელს, დამფუძნებლები: ირაკლი გურჩიანი და დავით ტაკიძე. 1998 წლიდან კომპანია გახდა ტოიოტა მოტორ კორპორაციის ავტორიზებული ცენტრი, ტოიოტას პირველი ოფიციალური დილერი საქართველოში, რომელიც საავტომობილო ბაზარზე, უკვე 24 წელია წარმატებით ოპერირებს. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს, ტოიოტას ბრენდის უახლესი მოდელების ავტომობილების ფართო არჩევანს, მხოლოდ ორიგინალ ავტოსათადარიგო ნაწილებსა და აქსესუარებს, ასევე ავტომანქანის მაღალ- პროფესიონალურ სერვისს, რომელიც ტოიოტას სერტიფიცირებული ხელოსნების მიერ ხორციელდება.

ჯგუფი ფლობს შვილობილს კომპანიებს შპს „იოკოჰამა ჯორჯია“-ს და შპს „ჯეო ექს“-ს. კომპანია „ჯეო ექსი“ 2018 წლიდან აღარ ოპერირებს ბაზარზე და შეჩერებული აქვს საქმიანობა, ხოლო კომპანია იოკოჰამა ჯორჯია ახორციელებს ზეთების და ხუნდების რეალიზაციას. ჯგუფის ბრუნვების არსებითი ნაწილი მოიცავს კომპანია „ტოიოტა ცენტრი თბილისი“-ს ოპერაციებს და ბაზარზე ოპერირების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯგუფის ანგარიშგებაში არის მისი. ქვემოთ აღწერილი გეგმები და შედეგები მოიცავს უმეტესად ტოიოტა ცენტრი თბილისის სამომავლო გეგმებს და განხორციელებულ პროექტებს.

„ტოიოტა ცენტრი თბილისის“ შოურუმი და სერვისცენტრი, სრულად არის „ტოიოტა“-ს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში და მომხმარებლის მაქსიმალურ კომფორტზეა მორგებული. კომპანიის ცენტრალური ოფისი მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 116. ოფისი გაშლილია ორ სართულზე და ჯამში შეადგენს 800 კვ.მ. შოურუმისა და 4000 კვ.მ სერვისის ფართობს. ცენტრალური ფილიალი ასევე აღჭურვილია უსაფრთხოების სისტემებითა და საკუთარი საავტომობილო პარკირების ფართობით. კომპანიის საკუთრებაშია ასევე ევაკუატორებისა და ავტომზიდების დეპარტამენტი. დამატებით კომპანია 2020 წლის 1 ივნისიდან მომსახურებას უწევს „ბი-ფი ექსპლორეიშენი ლიმიტედის წარმომადგენლობას საქართველოში“ (შემდგომში როგორც „ბი-ფი“), რაც მოიცავს მძღოლებით, საოფისე ფართით და სატრანსპორტო ერთეულების ტექნიკურ მომსახურებას.

ამასთანავე ჯგუფს აქვს ტოიოტა ცენტრის ფილიალი ქობულეთში, მულტი-ბრენდული საავტომობილო სერვის ცენტრი რომელიც ასევე აღჭურვილია თანამედროვე მაღალტექნოლოგიური დანადგარებით და დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიცირებული კადრებით. „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ ასევე წარმოადგენს იამაჰას პროდუქციის ხაზს, საკუთრი შოურუმით და სერვისით რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-20 კმ., რომლის ოფიციალური წარმომადგენლობის ლიცენზია ეკუთვნის კომპანიას.

ჯგუფში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 352 ადამიანი.

სუბიექტის განვითარების გეგმები

შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“-ს მიზანია იყოს უწყვეტად განვითარებადი და ეს განვითარება აისახოს კომპანიის მიერ ბაზრისთვის მიწოდებულ პროდუქციისა და სერვისის ხარისხზე, რაც თავისთავად განაპირობებს კომპანიის შემოსავლების ზრდას და პირიქით - კომპანიის შემოსავლების ზრდა იძლევა საშუალებას ბაზარს შევთავაზოთ თანამედროვე და უახლესი ტენდენციებით შექმნილი საავტომობილო მომსახურება.

„უწყვეტად განვითარების“ კონცეფციის ფარგლებში კომპანია მიზნად ისახავს შემოსავლების ყოველწლიურ 15%-იან ზრდას. კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად იყენებს ყველა რესურსსა და საშუალებას, დასახული მიზნების მისაღწევად. ეს საშუალება იყოფა ორ ძირითად ნაწილად:

- ა) არსებული მიმართულებების განვითარება;
- ბ) ახალი მიმართულებების დანერგვა და განვითარება;

მენეჯმენტის მიერ დადგენილი კომპანიის განვითარების გეგმა ეფუძნება ქვემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საკითხს და მათი ერთობლიობა მიმართავს კომპანიას მთავარი მიზნის მისაღწევად:

- 1) ფინანსური რესურსი - ჯგუფი ფინანსური მდგომარეობა და დამფუძნებელ პირთა დამოკიდებულება „გაუნაწილებელი მოგების“ განკარგვის კუთხით იძლევა საშუალებას წლიდან წლამდე მოხდეს ზრდა-განვითარებისთვის საჭირო რესურსების გამოყოფა და მიმართვა საჭირო მიმართულებით. ასევე საბანკო სექტორიდან გრძელვადიანი კრედიტის მიღება, რითიც მოხდება ახალი მიმართულებების დაფინანსება.

- 2) ჯგუფი მენეჯმენტი და მართვა - ჯგუფი მოწყობა და მართვის პრინციპი წარმოადგენს ჯგუფის განვითარების და წინსვლის წინაპირობას. კომპანიის მოწყობის სტრუქტურა და მენეჯმენტი შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.
- 3) კადრები - ჯგუფში დასაქმებული ტექნიკური პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და განვითარების პოტენციალი წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან აქტივს რომელიც კომპანიას მზარდი გამოწვევების გამკლავების საშუალებას აძლევს. წელიწადში რამოდენიმეჯერ ხდება თანამშრომელთა მივლინება საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ზრდის მიზნით, ასევე უცხოელ პარტნიორთა ვიზიტები საქართველოში და კომპანიის თანამშრომელთათვის ტექნიკური ტრენინგების ჩატარება. კომპანიაში დანერგილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დამატებითი ტესტირების სისტემა და ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო სისტემები დისტანციური სწავლების შესაძლებლობით იძლევა საშუალებას გაიზომოს კადრების კვალიფიკაცია, მოხდეს შესაბამისი რეაგირება წარმატებულ/ჩამორჩენილ კადრებთან მიმართებაში. აქტიურად მიმდინარეობს კადრების კმაყოფილების კვლევები, შედეგების ანალიზი და აღნიშნულზე დაყრდნობით ახალი განვითარების გეგმების შემუშავება რადგან კომპანიის მენეჯმენტის რწმენით კმაყოფილი და ლოიალური თანამშრომელი პირდაპირ პროპორციულად აისახება მომხმარებლის კმაყოფილებაზე.
- 4) ჯგუფის მენეჯმენტი გეგმავს, 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე აიღოს ISO სერთიფიკატი, რომელიც განაპირობებს ორგანიზაციის მომსახურების ხარისხის დადასტურებასა და უმაღლესი ხარისხის სტანდარტების დანერგვას.
- 5) სუბიექტის მმართველი გუნდი აპირებს, 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განავითაროს ახალი პროდუქტი, საოპერაციო ლიზინგი, რომელიც შეთავაზებულ იქნება იურიდიული პირებისთვის, როგორც მომსახურება.
- 6) ჯგუფის მენეჯმენტი 2021 წლიდან აპირებს, განავითაროს ახალი მომსახურება, რაც მოიცავს იურიდიული პირების მძღოლებითა და სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურებას.
- 7) ჯგუფი ასევე გეგმავს გაზარდოს კომპანია იოკოჰამა ჯორჯიას ბრენდი სიძლიერე და გაყიდვების მოცულობა, მარკეტინგული აქტივობების ხელშეწყობით

რეპუტაცია და ბრენდის სიძლიერე

შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი საქართველოს ეკონომიკურ ბაზარზე სარგებლობს დადებითი რეპუტაციით მომხმარებლების მიმართ, რადგან 24 წელია იგი მოღვაწეობს საავტომობილო ბიზნესში და მომხმარებლების უმრავლესობა ენდობა გამოცდილებასა და საოპერაციო საქმიანობის ხარისხს. ხოლო 2020 წლიდან როგორც „ბი-ფი“-ს ერთერთი მსხვილი კონტრაქტორი მისი რეპუტაცია კიდევ უფრო გაიზარდა საერთაშორისო ორგანიზაციების თვალში რადგან ასეთი სახის კონტრაქტის შესრულება შეუძლია მხოლოდ მაღალი საერთაშორისო სტანდარტის მქონე ორგანიზაციებს, „ბი-ფი“-ს მაღალის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

მომხმარებლები

ჯგუფის მომხმარებლები არიან როგორც, ფიზიკური პირები და ორგანიზაციები, ასევე სახელმწიფო სტრუქტურული ერთეულები. შესაბამისად, ორგანიზაცია მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი, რათა გამოიწვიოს თითოეული სეგმენტის მომხმარებლის კმაყოფილება და ნდობა.

დასაქმებულები

შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი დაკომპლექტებულია, პირველ რიგში საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე კვალიფიციური ტექნიკური პერსონალით, რომლებიც მომხმარებლებს უწევენ მაღალი დონის მომსახურებას, რის შედეგად კომპანიას ჰყავს დიდი რაოდენობის ერთგული მომხმარებელი. ასევე, ორგანიზაციას ჰყავს გამოცდილი სათადარიგო ნაწილების დეპარტამენტი, გაყიდვების დეპარტამენტი და ადმინისტრაცია, რომლებიც ოპერატიულად უწევენ მომსახურებას მომხმარებლებს.

კვლევა და განვითარება

თანამშრომელთა კმაყოფილებისა და ჩართულობის დონეების სწორად შეფასების მიზნით, კომპანია ყოველწლიურად ატარებს თანამშრომელთა გამოკითხვას წამყვან საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და კვლევით კომპანიებთან თანამშრომლობით. თანამშრომელთა კმაყოფილების ინდექსისა და ჩართულობის/ლოიალურობის დასადგენად, ხდება კვლევის შედეგების ანალიზი და სამუშაო ჯგუფის მიერ აღნიშნული

შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საკითხების გათვალისწინება მენეჯმენტის სამომავლო ქმედებებსა და გეგმებში. აღნიშნული გეგმები გაწერილია განვითარების („BRIT“- პროექტი) სამოქმედო გეგმაში რომლის იმპლემენტაცია განხორციელდა 2019 წლიდან და უკვე ერთი წელია აღნიშნული პროექტი სრულად ოპერირებს .

ინტელექტუალური კაპიტალი

ჯგუფის მენეჯმენტი დაკომპლექტებულია მაღალი დონის პროფესიონალებით, რომელთაც გააჩნიათ სახელმწიფო დაწესებულებსა და კერძო ბიზნესში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება. მათი პროფესიონალურ ზრდას ასევე უზრუნველყოფს ტოიოტას ბრენდის პოლიტიკა თანამშრომლების მუდმივი მომზადების, გადამზადებისა და სერტიფიცირების კუთხით მათი პროფესიონალიზმის ზრდის ხელშესაწყობად.

ირაკლი გურჩიანი: პრეზიდენტი, აქციონერი თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული; 35 წლიანი გამოცდილება ბიზნესის სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობის; ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება სამშენებლო, მომსახურებისა და გართობის ინდუსტრიაში; შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი 1997 წლიდან.

ჯაბა ელიზბარაშვილი: ფინანსური დირექტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინჟინერიის მენეჯმენტის მაგისტრი. 17 წლიანი გამოცდილება კერძო სექტორის სხვადასხვა სფეროსა და სახელმწიფო სტრუქტურებში მოღვაწეობის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური მენეჯერის თანამდებობებზე. 2008 წელს შემოუერთდა შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ მმართველ გუნდს

სოფი იოზაშვილი: ადმინისტრაციული მენეჯერი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის მაგისტრი. სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო სექტორში მოღვაწეობის 15 წლიანი გამოცდილება, სხვადასხვა მენეჯერულ თანამდებობებზე. შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ მმართველ გუნდს შემოუერთდა 2011 წელს.

ოლეგ ვარდიაშვილი: თბილისის სერვისცენტრის ხელმძღვანელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მექანიზაციისა და ელექტროენერგიის კვლევის ცენტრის კურსდამთავრებული; ორმოცი წლის გამოცდილება სხვადასხვა სამთავრობო უწყებებსა და კვლევით ცენტრებში ინჟინრად მუშაობის გამოცდილებით. 2006 წელს შემოუერთდა შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ გუნდს როგორც სერვისცენტრის ხელმძღვანელმა.

ნინო გაგუა: გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი, სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, 13 წლის სამუშაო გამოცდილება მენეჯერის თანამდებობაზე სატრანსპორტო ბიზნესში. 2006 წელს შემოუერთდა შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ გუნდს, ჯერ გაყიდვების სპეციალისტად, 2 წლის შემდეგ კი გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა ჩაიბარა.

ბესო ბასილაია: სათადარიგო ნაწილების განყოფილების უფროსი , თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ეკონომიკის მაგისტრი; 17 წლის სამუშაო გამოცდილება მენეჯერის თანამდებობაზე სატრანსპორტო ბიზნესში 2003 წელს შემოუერთდა შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ გუნდს, ჯერ სათადარიგო ნაწილების დეპარტამენტის ოფიცრად, ერთი წლის შემდეგ კი სათადარიგო ნაწილების განყოფილების უფროსის თანამდებობა ჩაიბარა.

კოვიდი-ს გაგვინა კომპანიის შემოსავლებზე

კორონარული ვირუსი(COVID-19) რთული გამოწვევად მნიშვნელოვანი საფრთხეა არამხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისთვისაც. ინფიცირებულთა სწრაფად მზარდმა რაოდენობამ და ვირუსის გავრცელების ფართო არეალმა. მსოფლიო ეკონომიკაზე COVID-19-ის ნეგატიური ეფექტი ეხლა უკვე შეუქცევადი მოცემულობაა. თუმცა კითხვები COVID-19-ის ზეგავლენის მასშტაბსა და ხარისხზე ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია.

კოვიდი-ს გაგვინა კომპანიის შემოსავლებზე (გაგრძელება)

ის თუ რა ზეგავლენას იქონიებს COVID-19 კომპანიის ფინანსებსა და მომავალზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვირუსის გავრცელების ტენდენციებზე. მოცემული ცვლადების გათვალისწინებით ზუსტი პროგნოზების გაკეთება, ფაქტობრივად შეუძლებელია. მაგალითად, თებერვალში გაკეთებული პროგნოზები, მარტში უკვე მნიშვნელოვნად შეიცვალა და უფრო პესიმისტური გახდა. ამიტომ ციფრები და მონაცემები,

შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

რომელსაც ქვემოთ მოგაწოდებთ, ცხადია მიახლოებულია და მხოლოდ წარმოდგენას ქმნის იმ ეფექტზე, რომელიც ვირუსმა მოახდინა და ახდენს კომპანიის შემოსავლებზე.

ჩვენ მოველით, რომ შევძლებთ შემოსავლების 10 პროცენტთან ზრდას, უკვე არსებული კონტრაქტების გათვალისწინებით აღნიშნული ზრდის მაჩვენებელი არის პესიმისტური, მაგრამ ვინაიდან არსებული სიტუაცია არ არის სტაბილური და პერიოდულად ხორციელდება შეზღუდვების გამკაცრება ვვარაუდობთ, რომ პესიმისტური შეფასებებით გაკეთებული პროგნოზებიც კი დადებითად აისახება კომპანიის შედეგებზე.

ლიცენზიები, პატენტები, საავტორო უფლებები და სასაქონლო ნიშნები;

შპს "ტოიოტა ცენტრი თბილისი" 1997 წლიდან არის "ტოიოტა მოტორ კორპორაციის" ოფიციალური/ავტორიზებული დილერი საქართველოში. ასევე კომპანია წარმოადგენს იამაჰასა პროდუქციის ექსკლუზიურ დილერს საქართველოში.

სუბიექტის პოზიცია ბაზარზე;

სუბიექტი საქართველოს საავტომობილო/სადილერო ბაზარზე იკავებს წამყვან პოზიციებს, რაც ასახულია მომხმარებლების მზარდი რიცხვითა და ტოიოტას ბრენდზე მოთხოვნის ზრდით.

2020 წლის გაყიდვები ჯგუფში არსებული მიმართულებების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

მიმართულების დასახელება	მიმართულების წლიური %-ული წილი მთლიან შემოსავლებში
ავტომობილების რეალიზაცია	82.6%
შემოსავალი ტექ. მომსახურებიდან	11.3%
შემოსავალი საბურავების რეალიზაციიდან	0.2%
სხვა შემოსავლები	6.1%

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

Gross Profit Margin - მთლიანი საოპერაციო მოგების მარჟა 2019 წელს იყო 9 %, ხოლო 2020 წელს ეს მონაცემები 11-მდე გაიზარდა, რაც გამოწვეულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებების ხარჯების ოპტიმიზაციამ.

Operating profit margin – შემცირებულია გასულ საანგარიშო პერიოდთან შედარებით და შეადგენს 1%, რაც გამოწვეულია პანდემიის გავლენით, რის გამოც შემცირდა კომპანიის შემოსავლების წილი თუმცა მის შესაბამისად არ მომხდარა ხელფასის ხარჯის შემცირება, ლოკდაუნის დროს კომპანიის თანამშრომლებს შეუწარმუნდათ სამუშაო ადგილები და სახელფასო ანაზღაურება, რამაც გამოიწვია 2019 წელთან შედარებით კოეფიციენტის 2 პროცენტით შემცირება.

ძირითადი რისკები

რისკად შეიძლება ჩაითვალოს ბრენდის ლიცენზიის დაკარგვა, რაც განპირობებულია ზედამხედველი კომპანიის სტანდარტების მოთხოვნასა და „ტოიოტა ცენტრი თბილისი“-ს მიერ შესრულებული რეგორმების ხარისხზე.

ქართული ლარის არა მყარი ღირებულება, რომელიც ხელს უშლის რეალიზაციის მარჟის სტაბილურობას, რაც საფრთხეს უქმნის კომპანიის მომგებიანობას. ასევე ვალუტის ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს საკრედიტო კუთხით ზარალი, რადგან საზღვრებს მიღმა ოპერაციები ხორციელდება უცხოურ ვალუტაში, რაც პროგნოზირებას უწევს კურსთა შორის სხვაობიდან მიღებულ ზარალს. ამასთანავე რისკად შეიძლება ჩაითვალოს საბანკო სექტორიდან მიღებული კრედიტი, რომელიც დიდ წილს იკავებს კომპანიის კაპიტალში, რომლის გადაუხდელობა გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ კრახს. მეზობელ სახელმწიფოებს შორის გართულებულმა საერთაშორისო ურთიერთობებმა შიძლება წარმოშვას პოლიტიკური დესტაბილიზაცია, ასევე არის საშიშროება შიდა არეულობის და ეკონომიკური კრიზისის.

ყველა ამ ფაქტორმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გაყიდვების მოცულობის შემცირებაზე და გამოიწვიოს ჯგუფის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის სერიოზული ჩავარდნა. მსგავსი რისკები არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის არ არსებობს მსგავსი რისკების წარმოშობის სერიოზული საფუძვლები.

გარემოს დაცვა

ჯგუფს აქვს გარკვეული ოპერაციები, რომლებიც ექვემდებარება გარემოსდაცვითი რეგულაციებს. კომპანია უზრუნველყოფს ავტომობილების შეკეთების მომსახურებას, რომელიც ექვემდებარება გარკვეულ მოთხოვნას გამოყენებული ნაწილებისა და საპოხი მასალების გამო. ასევე, კომპანია აქტიურადაა ჩართული ნარჩენების დახარისხებისა და გადამუშავების პროექტში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ამჟამად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დაწესებული გარემოსდაცვითი რეგულაციებს და არ გააჩნია რაიმე ვალდებულება.

Covid19-ის პანდემიის გავრცელების გავლენა კომპანიის ბალანსის შემდგომ პერიოდში განხორციელებულ ოპერაციებზე;

COVID-19-ის ვირუსის გავრცელებამ სერიოზული გამოწვევები შეუქმნა ეკონომიკას და ბიზნესს მსოფლიოს მასშტაბით და არც საქართველოა გამონაკლისი. თუმცა, ამ დრომდე ჩვენმა ქვეყანამ, მთავრობის მიერ დროულად განხორციელებული მკაცრი ზომების წყალობით, სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო ეფექტურად მოახერხა COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლა. ამას კი შედეგად მოჰყვა შედარებით ნაკლები დაინფიცირების შემთხვევები. ეკონომიკური თვალსაზრისით, COVID-19-ის პანდემიამ საქართველოში გამოიწვია ეკონომიკური ზრდის შენელება, უმუშევრობის ზრდა, ლარის გაუფასურება და კერძო სექტორის გადახდისუნარიანობის შესუსტება. იქიდან გამომდინარე, რომ მნიშვნელოვანია ტურიზმის წვლილი საქართველოს ეკონომიკაში, გავლენაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

ჩვენ განვახორციელეთ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ქმედებებისა, რათა დავიცვათ ჩვენი მომხმარებელი და თანამშრომლები და თავი ავარიდოთ ჯგუფის ოპერაციების შეფერხებას COVID-19-ის დროს. COVID-19-ზე საპასუხო ქმედებების შემუშავებისას გავითვალისწინეთ საუკეთესო გლობალური კომპანიების მეთოდები, ასევე გადავხედეთ ისეთი ორგანიზაციების პრაქტიკას, როგორიცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საქართველოს მთავრობასთან. ჩვენი პრიორიტეტია თანამშრომლებისა და მომხმარებლის ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა. სერვის ცენტრებში წარმოვადგინეთ უსაფრთხოებისა და ინფექციის პრევენციის დამატებითი ღონისძიებები. ქვეყანაში ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით შემცირებული გაყიდვების ფონზე ვმუშაობთ ხარჯების ოპტიმიზაციაზე, პროცესების გადაწყობას და ხარჯების პრიორიტეტების განსაზღვრაზე. ჩვენი მიზანია, რომ შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი-ს ხარჯის შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიახლოებული იყოს 2019 წლის მაჩვენებელთან. კომპანიის კომპეტენტური, პროფესიონალური გუნდის წყალობის შესაძლებელი გახდა COVID-19-ით გამოწვეულ ამჟამინდელ ვითარებასთან სწრაფად ადაპტირება და საქმიანობის გაგრძელება მინიმალური შეფერხებით.

ჩვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თვალსაზრისით, მივიღეთ მთელი რიგი ზომები, რომელთა საშუალებითაც ორგანიზაციამ ადაპტირება მოახდინა ყოველდღიური ოპერაციების კუთხით, რათა ადაპტირდეს მიმდინარე, უპრეცედენტო საოპერაციო გარემოსთან, ამასთანავე შეინარჩუნოს თანამშრომლებისა და მომხმარებლის ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა, როგორც ნომერ პირველი პრიორიტეტი: ჩვენს ფილიალებში შემოვიტანეთ უსაფრთხოებისა და ინფექციის პრევენციის დამატებითი ზომები, მათ შორის შუშის ბარიერები და ანტისეპტიკური საშუალებები ჩვენი თანამშრომლებისთვის და მომხმარებლებისთვის. ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, ტოპ მენეჯმენტმა გადაწყვიტა უარი ეთქვა ბონუსებზე; 2020 წელს ჩვენი პრიორიტეტები იქნება ეფექტური რისკების მართვის სისტემით პრაქტიკულად მართვა პარალელურად, ჩვენ ვფოკუსირდებით ხარჯების ოპტიმიზაციაზე, რათა შევინარჩუნოთ 2021 წლის ხარჯის შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტი 2019 წლის დონეზე, შემოსავლებზე ზეწოლისა და ვალუტის გაუფასურების მიუხედავად. ამავდროულად, კრიზისმა ჩვენი სტრატეგია კიდევ უფრო გაამტკიცა და გამოავლინა უამრავი შესაძლებლობა, რომლებსაც გამოვიყენებთ ოპერაციული მოდელის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

დირექტორი

20 აგვისტო 2021
თბილისი, საქართველო

Covid19-ის პანდემიის გავრცელების გავლენა კომპანიის ბალანსის შემდგომ პერიოდში განხორციელებულ ოპერაციებზე;

COVID-19-ის ვირუსის გავრცელებამ სერიოზული გამოწვევები შეუქმნა ეკონომიკას და ბიზნესს მსოფლიოს მასშტაბით და არც საქართველოა გამონაკლისი. თუმცა, ამ დრომდე ჩვენმა ქვეყანამ, მთავრობის მიერ დროულად განხორციელებული მკაცრი ზომების წყალობით, სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო ეფექტურად მოახერხა COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლა. ამას კი შედეგად მოჰყვა შედარებით ნაკლები დაინფიცირების შემთხვევები. ეკონომიკური თვალსაზრისით, COVID-19-ის პანდემიამ საქართველოში გამოიწვია ეკონომიკური ზრდის შენელება, უმუშევრობის ზრდა, ლარის გაუფასურება და კერძო სექტორის გადახდისუნარიანობის შესუსტება. იქიდან გამომდინარე, რომ მნიშვნელოვანია ტურიზმის წვლილი საქართველოს ეკონომიკაში, გავლენაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

ჩვენ განვახორციელეთ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ქმედებებისა, რათა დავიცვათ ჩვენი მომხმარებელი და თანამშრომლები და თავი ავარიდოთ ჯგუფის ოპერაციების შეფერხებას COVID-19-ის დროს. COVID-19-ზე საპასუხო ქმედებების შემუშავებისას გავითვალისწინეთ საუკეთესო გლობალური კომპანიების მეთოდები, ასევე გადავხედეთ ისეთი ორგანიზაციების პრაქტიკას, როგორიცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საქართველოს მთავრობასთან. ჩვენი პრიორიტეტია თანამშრომლებისა და მომხმარებლის ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა. სერვის ცენტრებში წარმოვადგინეთ უსაფრთხოებისა და ინფექციის პრევენციის დამატებითი ღონისძიებები. ქვეყანაში ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით შემცირებული გაყიდვების ფონზე ვმუშაობთ ხარჯების ოპტიმიზაციაზე, პროცესების გადაწყობას და ხარჯების პრიორიტეტების განსაზღვრაზე. ჩვენი მიზანია, რომ შპს ტიოტა ცენტრი თბილისი-ს ხარჯის შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიახლოებული იყოს 2019 წლის მაჩვენებელთან. კომპანიის კომპეტენტური, პროფესიონალური გუნდის წყალობის შესაძლებელი გახდა COVID-19-ით გამოწვეულ ამჟამინდელ ვითარებასთან სწრაფად ადაპტირება და საქმიანობის გაგრძელება მინიმალური შეფერხებით.

ჩვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თვალსაზრისით, მივიღეთ მთელი რიგი ზომები, რომელთა საშუალებითაც ორგანიზაციამ ადაპტირება მოახდინა ყოველდღიური ოპერაციების კუთხით, რათა ადაპტირდეს მიმდინარე, უპრეცედენტო საოპერაციო გარემოსთან, ამასთანავე შეინარჩუნოს თანამშრომლებისა და მომხმარებლის ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა, როგორც ნომერ პირველი პრიორიტეტი: ჩვენს ფილიალებში შემოვიტანეთ უსაფრთხოებისა და ინფექციის პრევენციის დამატებითი ზომები, მათ შორის შუშის ბარიერები და ანტისეპტიკური საშუალებები ჩვენი თანამშრომლებისთვის და მომხმარებლებისთვის. ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, ტოპ მენეჯმენტმა გადაწყვიტა უარი ეთქვა ბონუსებზე; 2020 წელს ჩვენი პრიორიტეტები იქნება ეფექტური რისკების მართვის სისტემით პრაქტიკულად მართვა პარალელურად, ჩვენ ვფოკუსირდებით ხარჯების ოპტიმიზაციაზე, რათა შევინარჩუნოთ 2021 წლის ხარჯის შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტი 2019 წლის დონეზე, შემოსავლებზე ზეწოლისა და ვალუტის გაუფასურების მიუხედავად. ამავდროულად, კრიზისმა ჩვენი სტრატეგია კიდევ უფრო გაამტკიცა და გამოავლინა უამრავი შესაძლებლობა, რომლებსაც გამოვიყენებთ ოპერაციული მოდელის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

დირექტორი

20 აგვისტო 2021

თბილისი, საქართველო

